ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

„ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამები მოგზაურობა გრძელდება

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამა (IB DP), თავისი სკურპულოზურობითა და პროგრამის მრავალფეროვნებასა და სიღრმეს შორის არსებული ბალანსით, მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტების მიერ აღიარებულია საშუალო საფეხურის განათლების ოქროს სტანდარტად.

IB DP -ის წარმატებით დამთავრებას მოსწავლეებისთვის შედეგად მოაქვს საუნივერსიტეტო ჩარიცხვებში უპირატესი მდგომარეობა, საუნივერსიტეტო კრედიტები , სტიპენდიები და სხვ.
ამ უპირატესობებით 2012 წლიდან სარგებლობენ „ევროპული სკოლის” IB DP პროგრამის კურსდამთავრებულები.
ხარისხის მაჩვენებლების ნაკრების ნაცვლად IB პროგრამები გვთავაზობენ ფილოსოფიური მიზნების მქონე განათლებას, რომელიც ხელს უწყობს „მაძიებელი, მცოდნე და მზრუნველი ახალგაზრდების აღზრდას უკეთესი და უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს შესაქმნელად”.
ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებაში IB-ის მოსწავლეების გავლენის უნარიანობის მასშტაბი გარკვეულწილად დამოკიდებულია IB პროგრამებში გატარებული წლების რაოდენობაზე. „ევროპულ სკოლაში” მოზარდებს ვთავაზობთ უწყვეტ და სრულყოფილ 12 წლიან IB განათლებას.
2007 წელს, როდესაც სკოლა გაიხსნა, დამფუძნებლებს შეეძლოთ მიზნად დაესახეთ, მაღალი სტანდარტის კერძო ქართული სასწავლებლის ჩამოყალიბება , თუმცა მათ საერთაშორისო განათლების, კერძოდ კი IB პროგრამების დანერგვა გადაწყვიტეს სანაცვლოდ. წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, კადრების პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა მოწადინებულია მაღალი ხარისხის განათლება შესთავაზოს მოსწავლეებს.
ისევე როგორც საზოგადოება იცვლება ტექნოლოგიების, გლობალიზაციისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით, იცვლება ხარისხიანი განათლების მახასიათებლებიც.
ჩვენი სკოლის განვითარების თანმდევი შედეგია სწავლების ხარისხის, მოსწავლეებზე ზრუნვის, მათი მხარდაჭერის სისტემების, ჩარიცხვის პროცედურების, კლასგარეშე ღონისძიებების გაუმჯობესება და დახვეწა არა მარტო DP პროგრამის, არამედ PYP-ისა და MYP-ის დონეზე.
ეს კი გახლავთ მრავალსაფეხურიანი, მრავალფაქტორიანი, მრავალწლიანი და ამავდროულად ძალიან საინტერესო ამოცანა. წლევანდელი წელი ჩემთვის პირველი წელია „ევროპული სკოლის” დირექტორის მოადგილისა და IB პროგრამების ხელმძღვანელის რანგში. ჩემი ყურადღება უმთავრესად დაეთმობა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სკოლაში ჩარიცხვის პროცესებს. ჩვენს პედაგოგებს მყარი ცოდნა და გამოცდილება აქვთ თავიანთ საგნებში. ჩვენი მიზანია, თითოეულს ჰქონდეს მუდმივი წვდომა IB- ტრენინგებზე. რაც შეეხება სკოლაში ჩარიცხვის პროცესებს, გვსურს, ახალ მოსწავლეებს შეფასებისა და მხარდაჭერის ისეთი სისტემები შევთავაზოთ, რომელიც მაქსიმალურად მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე და დაეხმარება მოზარდებს, მიაღწიონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

დოქტორ ბრაის ბომო
დირექტორის მოადგილე, IB პროგრამების ხელმძღვანელი

WE ARE AN ACCREDITED SCHOOL
ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64; 214 15 16
ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

„ევროპული სკოლა“ - საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) მიერ აკრედიტებული პირველი სკოლა საქართველოში

სასიამოვნო სიახლე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში: სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ „ევროპულმა სკოლამ" პირველმა მოიპოვა საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტაცია.

„CIS ლიდერიორგანიზაციაასკოლებისშეფასებისდარგში. მსოფლიოში აღიარებული CIS აკრედიტაცია არის მაღალი სტანდარტის საერთაშორისო განათლების მაჩვენებელი, რომელიც აადვილებს მოსწავლეების მიღებას მსოფლიო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. „ევროპული სკოლისთვის“ CIS აკრედიტაციის მინიჭება ნიშნავს, რომ სკოლამ საერთაშორისო განათლების მაღალ პროფესიულ სტანდარტს მიაღწია და აცხადებს უწყვეტი განვითარების მზაობას“-განაცხადა „ევროპული სკოლის“ დირექტორმა სოფიო ბაზაძემ.

თვითშეფასების ხანგრძლივ და გამოწვევებით აღსავსე პროცესს, რომელშიც „ევროპულმა სკოლამ“ ძლიერი მხარეების და განვითარების პერსპექტივების იდენტიფიცირება მოახდინა, თან სდევდა ვიზიტი CIS შეფასების გუნდისა, რომელიც დაესწრო სასწავლო პროცესს, შეხვდა სკოლის საზოგადოების თითოეული რგოლის წარმომადგენლებს და სკოლის ცხოვრების ყველა მიმართულება შეაფასა საერთაშორისოდ აღიარებული CIS სკოლების სტანდარტებთან მიმართებაში.

„ევროპული სკოლა“ მომავალშიც აპირებს უწყვეტი განვითარების გზით სიარულს და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის შენარჩუნებას და განვითარებას.

„მე ვაწყობ სამყაროს ისეთს, როგორიც მე მომწონს“ ასტრიდ ლინდგრენის კვირეული და მოკითხვა ასტრიდის შვილიშვილისგან „ევროპული სკოლის" მოსწავლეებს

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სტოკჰოლმში დიდი თოვლი მოვიდა. ერთი ჩვეულებრივი შვედი დიასახლისი ასტრიდ ლინდგრენი ქუჩაში წაიქცა და ფეხი იტკინა. ექიმებმა მას წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. ლოგინში უსაქმოდ წოლა ასტრიდს მალე მობეზრდა და წიგნის წერა დაიწყო, რომელიც საკუთარ შვილს დაბადების დღეზე აჩუქა. ასე დაიწყო ამბავი პეპისა, რომელიც ამბობდა:„მე ვაწყობ სამყაროს ისეთს, როგორიც მე მომწონს.“

14 ნოემბერს ყველასათვის საყვარელი, შვედი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღესთან დაკავშირებით „ასტრიდ ლინდგრენის კვირეული“ მოეწყო. აიმიტომაც სკოლაში მოსწავლეები ცელქი და მოუსვენარი პეპისა და მსუნაგი კარლსონის ფორმებში გამოწყობილები მოვიდნენ. ერთი დღით გააცოცხლეს ასტრიდის საყვარელი გმირები და საპატიო სტუმრებს განსაკუთრებულად დახვდენენ.

„ევროპულ სკოლას“ სტუმრად ეწვივნენ: შვედეთის საელჩოს მეორე მდივანი ჯონ რუნსონი, შვედეთის საელჩოს კომუნიკაციისა და კულტურის საქმეთა ოფიცერი თამარ დათუაშვილი, გამომცემელი თინა მამულაშვილი და დრამატურგი დავით გაბუნია.

როცა შვედეთში მწერლის მემკვიდრეებმა შეიტყვეს ჩვენი კვირეულის შესახებ, ბ-ნ ჯონს ასტრიდის შვილიშვილმა გულითადი მოკითხვა დააბარა „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებთან.

სტუმრებმა მოსწავლეებს უამბეს შვედეთისა და ავტორის შესახებ განსაკუთრებული ისტორიები, წარადგინეს ახალი გამოცემები და შეუქმენეს მოტივაცია უფრო მეტი იკითხონ რათა გახდნენ წიგნიერები.

კვირეულის ფარგლებში მოეწყო ლიტერატურული ვიქტორინები, წიგნის პრეზენტაციები, სპექტაკლის ,,კარლსონის“ ჩვენება. მოსწავლეების ხელით მომზადებული პეპის მაჭკატებისა და კარლსონის მურაბების დეგუსტაცია.

ახალი სასწავლო წელი „ევროპულ სკოლაში“ საერთაშორისო სიახლით დაიწყო

9 სექტემბერს ახალ სასწავლო წელს „ევროპული სკოლა“ სიხარულით შეხვდა მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს.
სკოლამ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, „ევროპული სკოლა“ (CIS) საერთაშორისო სკოლების საბჭოს პირველი აკრედიტებული სკოლა გახდა საქართველოში.
წელს „ევროპული სკოლის“ კარი კიდევ უფრო მეტმა 900-მდე მოსწავლემ შეაღო, რომელთაც განახლებული საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და ყველა პირობა დახვდათ სრულფასოვანი განათლების მისაღებათ. სკოლას შეემატა საერთაშორისოდ აღიარებული პედაგოგთა გუნდი.
ახალი სასწავლო წელი ახალი გამოწვევებით, ინოვაციური გეგმებით და წარმატებებით დაიწყო.

ქეროლ ბოუერის ვიზიტი „ევროპულ სკოლაში“

”სხვაგან ბალახი მწვანედ ბიბინებს, მაგრამ ოცნებების ასრულებისთვის მშობლიური ქვეყანაა საუკეთესო ადგილი” - ეს სიტყვები ეკუთვნის ქეროლ ბოუერს, რომელიც გახლავთ
სამხრეთ აფრიკის ლიდერი ქალების ფორუმის ადვოკატი UNICEF-ის სახელით, ცნობილი ტელესახე და ბიზნეს ქალბატონი. იგი 1 ოქტომბერს ესტუმრა ”ევროპულ სკოლას”. აღნიშნული ვიზიტი, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ქეროლ ბოუერის მიმდინარე მოღვაწეობის ნაწილია. „ევროპულ სკოლაში“ მაღალი რანგის სტუმარი შეხვდა სკოლის დირექციასა და მოსწავლეებს. ენთუზიასტმა და ენერგიულმა მოსწავლე გიდებმა საკუთარი პერსპექტივიდან გააცნეს სასკოლო გარემო სტუმარს.

გავლენიანმა ქალბატონმა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სამხრეთ აფრიკაში ქალთა და ბავშვთა ცხოვრებაში ძირეული ცვლილებების განხორციელებაში, რომელმაც თავისი ქმედებებით ათასობით ქალში გააღვიძა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ბავშვთა კეთილდღეობისთვის კი **დიდძალი** ფინანსური რესურსის მოზიდვა შეძლო, მეტად შთამაგონებელი გამოსვლა შესთავაზა მოსწავლეებს. მან ინიციატივიანი მოზარდები წაახალისა, შეიტანონ ცვლილებები საზოგადოებაში საკუთარი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯებით.

„ევროპული სკოლის“ საპატიო სტუმარი „ევროპარლამენტიდან“ - რომან შტრასე

ევროპარლამენტის ინტერკულტურული ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსია, რომელიც „ევროპულ სკოლას“ საპატიო სტუმრის სტატუსით ესტუმრა და მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა „ევროპარლამენტში“ დაგეგმილ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისა. დიდი ინტერესით მოუსმინა მოსწავლეების გამოსვლებს და მისცა პროფესიონალური რჩევები, როგორ მიაღწიონ წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე.
მოსწავლეების შეკითხვას-რად უნდა ევროკავშირს პარლამენტი? რომან შტრასემ ასე უპასუხა-დღეისთვის ევროკავშირი 28 დამოუკიდებელი სახელმწიფოს კავშირია. ერთიან ასამბლეაში, რომელიც ევროპარლამენტის პირველსახე იყო და 1950-იან წლებში შეიქმნა, წევრი-ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების დელეგატები შედიოდნენ. ის კავშირის პოლიტიკაზე აღმასრულებელი ხელისუფლებების გავლენის გაწონასწორებისთვის იქმნებოდა. ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა იდეა იმის შესახებ, რომ ინტეგრაციას საბოლოოდ ერთიანი ევროპული სახელმწიფოს შექმნა მოჰყვებოდა, ამიტომ პარლამენტი საერთო კენჭისყრით უნდა აერჩიათ. 1979 წელს მრავალწლიანი დისკუსიების შემდეგ საარჩევნო სისტემის შესახებ პირველი საყოველთაო არჩევნები ჩატარდა.
შტრასემ „ევროპული სკოლის“ და „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატების“ წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოში ვიზიტის მიზნები და სამომავლო გეგმები განიხილა.
ევროკავშირი-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის გენერალურმა მდივანმა ისაუბრა საერთაშორისო პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდა დიპლომატებისთვის, ევროპარლამენტის ეგიდით, ბრიუსელში ჩატარდება. შეხვედრის დასასრულს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა რომან შტრასეს სკოლის შენობის ტური ჩაუტარეს და მათი სწავლების მეთოდები დეტალურად აუხსნეს.
რომან შტრასეს ვიზიტი “ევროპულ სკოლაში“ ამა წლის აპრილის თვეში, ევროპარლამენტში გაფორმებული ოთხმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა.

როგორ შეარჩიო საუკეთესო სკოლა შენი შვილისთვის

სპეციალურად მშობლებისთვის შეიქმნა ერთიანი პლატფორმა, რომელიც მისცემს საშუალებას ერთ სივრცეში შეხვდნენ სხვადსხვა სკოლის წარმომადგენლებს და დეტალური ინფორმცია მიიღონ სკოლის შესახებ.
სწორედ ამიტომ 6 და 7დეკემბერს „ევროპული სკოლა“ წარმოდგენილი იყო სკოლების გამოფენა 2019-ზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ ექსპოჯორჯიაში ჩატარდა.
საქართველოში სკოლების გამოფენა ამ მასშტაბით უკვე მეორედ მოეწყო. გამოფენა მიზნად ისახავდა, შეექმნა ერთიანი პლატფორმა საშუალო განათლების სფეროში და ერთ სივრცეში შეეკრიბა ინდუსტრიის ყველა მონაწილე და პოტენციური მომხმარებელი.
დამთვალიერებს საშუალება მიეცათ, ქართული საშუალო განათლების ბაზრის გადმოსახედიდან უკეთ დაენახათ და შეეფასებინათ „ევროპული სკოლის“ უპირატესობები, პროგრამები, სწავლების მეთოდიკა, ინფრასტრუქტურა, კურიკულუმები და ტექნიკური უზრუნველყოფა.
ჩვენი სკოლის სტენდის ვიზიტორებს უამრავი საინტერესო აქტივობითა და რაც მთავარია, „ევროპული სკოლის“ პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაციით დავხვდით! ამ 2 დღის მანძილზე, ჩვენს ინტერაქტიულ სტენდთან ხალხმრავლობა იყო და არ წყდებოდა დაინტერესებული მშობლებისა და ბავშვების ნაკადი. დიდი მადლობა ჩვენს დამთვალიერებლებს და იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში მათ დიდ ნაწილს ჩვენი სკოლის მოსწავლეების რიგებში ვიხილავთ.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ქართული პროგრამის დაწყებითი საფეხურის „მოსწავლეთა საბჭო“

უდავოა ცოდნის, კონცეპციების და უნარების როლი საერთაშორისოდ მოაზროვნე ადამიანის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია პიროვნული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება გარემოს, სასწავლო პროცესის და ზოგადად მათ გარშემო მიმდინარე პროცესების მიმართ.

სწორედ „მოსწავლეთა საბჭო“ ეხმარებათ მოსწავლეებს სიამოვნება მიიღონ სასწავლო პროცესით, გამოიჩინონ შემოქმედებითობა, არ შეუშინდნენ სიახლეებს, ისწავლონ პრობლემების გადაჭრა, გამოიმუშავონ ლიდერის თვისებები, ასევე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

საბჭოს მუშაობის პრინციპების, საორგანიზაციო დეტალებისა და სამომავლოდ ქართულსა და საერთაშორისო პროგრამებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვის მიზნით 4 ოქტომბერს დაიგეგმა შეხვედრა PYP-ის კოორდინატორთან.საარჩევნო პროცედურების დაცვით, რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მე-2-დან მე-5-ე კლასის ჩათვლით აირჩიეს საბჭოს წარმომადგენლები.

პირველი დავალება, მდგომარეობდა შემდეგში- თანატოლების წინაშე უნდა გამოეტანათ განსაკუთრებულად “მწვავე საკლასო პრობლემები” და ემსჯელათ მათი გადაწყვეტის გზებზე. 31 ოქტომბერს სწორედ ამ მიზნით და ამ საკითხებით სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსა და საბჭოს წევრებს შორის.

ქართული პროგრამის ახლად შექმნილმა „მოსწავლეთა საბჭოს“ წევრებმა დიდი მონდომებით დაიწყეს მუშაობა და რამდენიმე ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაშიც მიიღეს მონაწილეობა: საბავშვო მწერლის ასტრიდ ლინდგრენის კვირეული, ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, საახალწლო საზეიმო შეხვედრები.

გვინდა წარმატებები ვუსურვოთ მოსწავლეთა საბჭოს არჩეულ წევრებს!

გაიცანით „ევროპული სკოლის“ კურსდამთავრებულები

საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა დიდი ხანია ტრადიციად იქცა ევროპულ სკოლაში, თუმცა, წელს გადავწყვიტეთ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს შევხვედროდით. საბედნიეროდ, „ევროპული სკოლის“ კურსდამთავრებულთა შორის მრავლად არიან წარმატებული და მისაბაძი ახალგაზრდები. დიდხანს არ დაგვჭირდა ძებნა. შეხვედრაზე აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალური მენეჯერი გიორგი დიასამიძე მოვიწვიეთ. გიორგიმ სკოლაში ყველას დაამახსოვრა თავი, როგორც აქტიურმა და წარმატებულმა მოსწავლემ. ახლა ის ყველაზე ახალგაზრდა, საქმიანი და კრეატიული მენეჯერია. შეხვედრამ თბილ გარემოში ჩაიარა. გიორგიმ დიდი სიყვარულით გაიხსენა სკოლაში გატარებული წლები და გულწრფელად უპასუხა მოსწავლეთა შეკითხვებს. წარმატებულ კურსდამთავრებულებთან შეხვედრა მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

5 დეკემბერი - მოხალისეთა საერთაშორისო დღე

5 დეკემბერს საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციამ მედიათეკის შენობაში საკმაოდ საინტერესო ღონისძიება გამართა. ამ ღონისძიების ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულმა 5-მა სკოლამ ერთმანეთს პრეზენტაციის საშუალებით აუხსნა ომის წარმოების საშუალებები და მეთოდები. „ევროპული სკოლის“ თემა „შეიარაღებული სამხედრო დრონები“ იყო. ბავშვებმა მოიძიეს ინფორმაცია და თანატოლებს აუხსნეს თუ რამდენად შორს მიდის დრონები და სამხედრო იარაღები. ასეთი მეთოდით ამ ასკაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა გაათვითცნობიერო მომავალი თაობა,ამიტომ „ევროპული სკოლა“ დიდ მადლობას უხდის საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციას.

ქართული პროგრამის საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ასამბლეა

წელს საბაზო საფეხური დამოუკიდებლად ჩაერთო „ევროპულ სკოლაში“ ტრადიციად ქცეულ ასამბლეაში. მოსწავლეები მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ეს იყო დაძაბული და ნაყოფიერი შრომის ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიება.

პროექტი „მუხლადი სიტყვა“ წარმოადგინეს მე-7ა კლასის მოსწავლეებმა. მე-8 კლასის მოსწავლეები ჟენევაში იმყოფებოდნენ სართაშორისო კონფერენციაზე. მათ თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს თანატოლებს. ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ტოლერანტობის კიდევ ერთი მაგალითი იყო პროექტი „კორეული კულტურისა და წეს-ჩვეულებების შესახებ,“ რომელიც მე-7ა კლასის მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ქიმიის კლუბ LiKBaCaNa-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი „STEM სამზარეულო“. მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები კლუბ „ჩვენ გვიყვარს ლიტერატურას“ წევრები არიან. მათ მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები მხატვრულ ლიტერატურას შეეხებოდა. დიდი ინტერესით მოისმინეს მოსწავლეებმა პრეზენტაციები ემიგრანტებსა და ემიგრაციაზე, რომელიც მე-9 კლასის მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს. დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს მეგობრობის ფარგლებში გამოცხადდა დავით აღმაშენებლის მონეტის ახალი დიზაინის კონკურსი, რომელზეც თავიანთი ნამუშევრები ევროპული სკოლის მოსწავლეებმაც წარმოადგინეს. მათ შორის ორი გამარჯვებული ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩმა საქართველოში დააჯილდოვა.

PYP არჩევნები

PYP პროგრამის მე-5 კლასის მოსწავლეებმა საარჩევნო დებატები მოაწყეს, სადაც მათ პარტიის და PYP პროგრამის პრეზიდენტობის კანდიდატები წარადგინეს. წარდგენილი კანდიდატები იყვნენ: ალექსანდრე წიკლაური, მარიამ ჰუსეინოვა, ნიკოლოზ იაკობიძე და ატილა რუსტა.

საარჩევნო კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა ჩაატარეს საქველმოქმედო აქციები, ხვდებოდნენ PYP პროგრამის საზოგადოებას და საარჩევნო კამპანიას წარმართავდნენ. მათ მოამზადეს: ფლაერები და ვიდეოები. 21 ნოემბერს კი გამართეს დებატები, სადაც კანდიდატებმა წარადგინეს იმ პრობლემების მოგვარების გზები, რომელთა წინაშეც ჩვენი საზოგადოება დგას.

მოსწავლეები მუშაობდნენ გუნდურად და გამოავლინეს შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები. არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ალექსანდრე წიკლაურმა.

კოსტიუმირებული წვეულება-ჰელოუინი

წელს „ევროპულ სკოლაში“ ჰელოუინის კოსტუმირებულ წვეულებაზე მოსწავლეები განსაკუთრებულად გამხიარულდნენ. მოეწყო კოსტიუმების ჩვენება, მოაწყვეს გასართობი-საშიში თამაშები. წვეულებაზე ჟიურიმ გამოავლინა მისის და მისტერ ჰელოუინი. საუკეთესო კოსტიუმის და ყველაზე ორიგინალური გოგრის ავტორებიც პრიზებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

როგორ მუშაობს ევროკავშირი

საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდებით "როგორ მუშაობს ევროკავშირი" 2019 წლის ნოემბერში გაიმართა. პროექტი შედგა "ევროპული ალიანსი საქართველო", "საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატებისა" და "ევროპული სკოლის" დახმარებით. „ევროპული სკოლის" მოსწავლეები ამ პროგრამაში მონაწილეობას უკვე მეორედ იღებენ. პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეების აღზრდა და ინფორმირება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ. პროექტის ფარგლებში წარმატებული მოსწავლეები დაესწრნენ სხვადასხვა სემინარებს შეხვედრებსა და მოინახულეს სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა შორისაა, „ევროპის კომისია", „ევროპის პარლამენტი" და „ევროპის რეგიონალური კომიტეტი". შეხვედრებისა და სემინარების გარდა მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები იმ პრობლემების შესახებ, რომელიც ქართველ ახალგაზრდა მოქალაქეებს აქვთ და იმუშავეს სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის: ოკუპაციაზე, ჰაერის დაბინძურებაზე, ნარჩენების მენეჯმენტზე და სოციალურ კონფლიქტებზე.

მოსწავლეების ჯგუფმა ასევე კითხვებით მიმართეს ევროკავშირის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და უფროსებს მათ ისაუბრეს პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. ამასთანავე, „ევროპული სკოლის" მოსწავლეებმა მიშიკო გაბაიძემ, 5 სხვა არტისტთან ერთად სპეციალურად მოამზადა ნახატები გამოფენისთვის „ჩვენი ხმა ევროპაში" რომელიც ჩატარდა ბელგიაში, ბრიუსელში. მიშიკო ეცადა, რომ მის ნახატებს აესახა ქართული ხმა და ქართველი ხალხის დღევანდელობის პრობლემები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა ილია ნებიერიძემ ნიკო დასენმა და მიშიკო გაბაიძემ მიიღეს "საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატების" ოფიციალური სტატუსი. ეს მათ აძლევს განსაკუთრებულ საშუალებას იყვნენ სტაჟირების პროგრამაზე და დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგებს ევროპის პარლამენტში, მონაწილეობა მიიღონ განსაკუთრებულ საზაფხულო სკოლებში და მიიღონ განათლებლა პოლიტოლოგიის შესახებ, იყვნენ სტაჟიორები საჯარო ორგანიზაციებში ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ. ეს სტატუსი ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რადგან "ახალგაზრდა ქართველი დიპლომატები" წარმოადგენს ქართულ ხმას, საქართველოს ფარგლებს გარეთ.

მოსწავლეთა პარლამენტის თავჯდომარე MYP პროგრამის მოსწავლე ანამარია იაკობიძე გახდა

ანამარია იაკობიძე იმ მოსწავლეთა სიაშია, რომლებმაც გადაწყვიტეს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის განსაკუთრებულად აქტიური წევრები გამხდარიყვნენ. სწორედ აქედან წამოვიდა მისი სურვილი გამხდარიყო ევროპული სკოლის პარლამენტის თავმჯდომარე. არჩევნები 8 ნოემბერს გაიმართა. გამარჯვებისთვის ბრძოლა არ ყოფილა მარტივი. სკოლის მოსწავლეების ნდობისა და ერთგულების მოსაპოვებლად ანა-მარიას დიდი დრო და მონდომება დასჭირდა. ეს ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიაში კარგად გამოჩნდა. მან რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა საქართველოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარესთან ქალბატონ მარიამ ჯაშთან, ჩაერთო საქველმოქმედო კამპანიებში, მოაწყო სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან

დაგეგმა და განახორციელა ღონისძიებები სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სკოლაში ქველმოქმედებისა და დახმარების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. ანამარიას ოპონირებას უწევდა სამი ღირსეული კანდიდატი ევროპული სკოლის ქართული, ამერიკული და სადიპლომო პროგრამებიდან. წინასაარჩევნო პროცესი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, ამის დასტური სკოლაში გამართული საპარლამენტო დებატებიც იყო, ბოლო წუთებამდე არ იყო ცნობილი თუ ვინ გაიმარჯვებდა. ანა-მარიას წარმატებას ბავშვები ოვაციებით შეხვდნენ.

DP პროგრამის მოსწავლეთა CAS ვორქშოფი

9 ნოემბერს IB DP-ის ორგანიზებით წინანდლის რედისონ ქოლექშენში გაიმართა CAS ვორქშოფი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა გაიუმჯობესეს ცოდნა CAS პროექტისთვის საჭირო ეტაპებში. ამასთანავე ვორკშოფის მეშვეობით, DP 12 სტუდენტებს მიეცათ საშუალება, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება მე-11 კლასელებისთვის, უკვე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მხრივ. IB DP რეგულარულად აორგანიზებს, მსგავსი ტიპის CAS ვორკშოფებს, რათა გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა CAS - ის მიზნებისა და როლის შესახებ პროგრამაში და განავითაროს პრაქტიკული უნარ ჩვევები.

საპატიო სტუმარი

მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, სადიპლომო პროგრამამ უმასპინძლა, გაეროში საქართველოს ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელს, ესმა გუმბერიძეს. ვიზიტის ფარგლებში, სტუმარმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაუზიარა სტუდენტებს, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში. გარდა ამისა, სტუდენტებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები, თუ როგორ შეიძლება გაიუმჯობესონ სოციალური პასუხისმგებლობა და მოახდინონ დადებითი გავლენა საზოგადოებაზე. „ევროპული სკოლა“ მჭიდროდ თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებშიც მათი წარმომადგენლები რეგულარულად სტუმრობენ ჩვენს მოსწავლეებს, რის შედეგადაც მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში.

აღმოაჩინე ტაო კლარჯეთი

ოქტომბერის თვეში „ევროპული სკოლის“ „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ მე-9 კლასის მოსწავლეები გაემგზავრნენ შემეცნებით ექსკურსიაზე ტაო კლარჯეთში. მათ საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ თანამედროვე საქართველოს საზღვრებსგარეთ აღმოჩენილი უძველესი ქართული ძეგლები. ექსკურსია დაგეგმა და შემდეგ განახორციელა ამერიკული უმაღლესი სკოლის აკადემიურმა დეკანმა ნათია თევზაძემ რამოდენიმე მასწავლებელთან ერთად. ოთხდღიანი ტურის განმავლობაში მათ მოუწიათ საკმაოდ რთული მარშრუტის გავლა და მოსწავლეებმა საკუთარი თვალით იხილეს ის ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რომელთა შესახებ სასკოლო პროგრამაში არაერთი ნაწარმოები თუ ისტორიული ცნობა წაუკითხავთ. მთლიანი ტური დატვირთული იყო თავგადასავლებით და ემოციებით და ეს 4 დღე მოსწავლეებისთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა. მათ მოინახულეს ისეთი ძეგლები, როგორიცაა მერეს ციხე, ქაჯეთის ციხე, არტაანი, შავშეთი, სათლეს ციხე, ტბეთი, დოლისყანა, ართვინი, არტანუჯი, ეშმაკის კანიონი, ახიზას ციხე, ჭოროხის ხეობა , იუსუფელი, ოთხთა ეკლესია, კავკასიძეებისა და ვეჟანგეთის ციხეები, პარხალი, იშხანი, ოშკი, თორთუმის ჩანჩქერი და ციხე, ბანას ტაძარი.

ამ ტიპის ექსკურსიები დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაზე, ვინაიდან ისინი განტვირთვისა და დასვენების გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ საქართველოს ისტორიული ძეგლების, კულტურისა და ფაქტების შესახებ.

COOGNIA-ს კონფერენცია

13 ნოემბერს ესპანეთში, კერძოდ მადრიდში, ამერიკის კერძო და საჯარო სკოლების აკრედიტაციისა და სერტიფიცირების ორგანიზაციის COGNIA-ს ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია CONNECT 20, რომელსაც დაესწრნენ „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ დირექტორი ქ-ნ ირმა ბარბაქაძე და ამავე სკოლის აკადემიური დეკანი ქ-ნ ნათია თევზაძე. კონფერენციაზე საუბარი იყო ევროპასა და აზიაში სასკოლო სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და დახვეწისათვის საჭირო ღონისძიებებზე და ახალ მიდგომებზე. დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტებისაგან დამსწრე საზოგადოებამ გაიზიარა საჭირო ინფორმაცია და პრაქტიკული გამოცდილება, რომლებიც სკოლის ადმინისტრატორებს დაეხმარებათ თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესებაში, მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლებასა და აკრედიტაციისთვის მზაობაში. კონფერენციის ორგანიზატორი - COGNIA ახდენს საერთაშორისო სკოლების აკრედიტაციას მსოფლიოს მასშტაბით.

„ამერიკული უმაღლესი სკოლის“ მე-12 კლასის სტუდენტების ფინალური პრეზენტაციები

„ევროპულის კოლის“ „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ მოსწავლეების სასკოლო პროგრამა დატვირთულია ლიტერატურული ნაწარმოებებით. მე-12 კლასის მოსწავლეებმა ინგლისური ენის კურსის ფარგლებში გაიარეს დოსტოევსკის ნაწარმოები „დანაშაული და სასჯელი“ და წარმოადგინეს ინგლისურენოვანი ფინალური პრეზენტაციები შუალედური ნაშრომის სახით. პრეზენტაციებში მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ზოგადად ნაწარმოების ანალიზი, თითოეული პერსონაჟის დახასიათება დასაბოლოოდ საკუთარი აზრის დაფიქსირება შეჯამების სახით. პრეზენტაციას ესწრებოდა სკოლის დირექცია და პერსონალი. მსგავსი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტებს ანალიტიკური და არგუმენტირებული აზროვნების განვითარებაში, დისციპლინის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციის უნარების განვითარებაში. კონფერენციამ წარმატებით ჩაიარა და ყველა მოსწავლემ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ტოლერანტობისა და მადლიერების კვირეული ამერიკულ სკოლაში

25-29 ნოემბერს „ამერიკულ უმაღლეს სკოლაში“ ტოლერანტობისა და მადლიერების კვირეული გაიმართა. კვირეულის ფარგლებში ტოლერანტობასთან დაკავშირებით ჩართულობისა და განვითარების ცენტრის მოწვეულმა სტუმრებმა მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის ჩაატარეს თავისუფალი ლექცია. ლექტორებმა ისაუბრეს ტოლერანტობის არსსა და მნიშვნელობაზე, ქალთა მიმართ ძალადობასა და მისი აღმოფხვრის გზებზე. ლექციას ჰქონდა ინტერაქციული სახე და მოსწავლეებმაც დააფიქსირეს საინტერესო მოსაზრებები, შეხედულებები და იდეები. მოწვეული სტუმრების შეფასებით, ლექცია ძალიან წარმატებით ჩატარდა, მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტებს კარგად აქვთ განვითარებული დებატებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები.

რაც შეეხება მადლიერების დღეს, ეს დღე სტუდენტებმა მეგობრულ და თბილ გარემოში გაატარეს, ერთმანეთს მიუძღვნეს სამადლობელი წერილები და ასევე მოაწყვეს საქველმოქმედო ღონისძიება, შინ მომზადებული კერძებისა და წვენების გაყიდვით შეგროვებული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ სკოლაში საკმაოდ ხშირად ტარდება მსგავსი ტიპის ღონისძიებები, შედეგად მოსწავლებლებს კარგად ესმით ქველმოქმედების არსი და მნიშვნელობა პიროვნების განვითარების პროცესში.

ახალი 2019 სასწავლო წლის დასაწყისში „ევროპულ სკოლაში“ შეიქმნა სპორტის დეპარტამენტი. გიორგი ახვლედიანი არის სპორტის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი. ასევე სკოლაში არის 2 ახალი ფიზმომზადების პედაგოგი, შოთა ტეფნაძე, რომელიც ასწავლის MYP სექციას და მინდია კორძაძეს, რომლებიც ასწავლის ქართულ და ამერიკულ სექციის მასწავლებლებს.

ივერი ჭელიძის საფეხბურთო ტურნირი

„ევროპულ სკოლაში“ ყოველწლიური „ივერი ჭელიძის სახელობის“ ფეხბურთის ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღო სამივე პროგრამის 30-ზე მეტმა კლასმა. ტურნირი ჩატარდა 3 კვირის მანძილზე და დაიყო 3 სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფად. ფინალური თამაშები ჩატარდა 26 ნოემბერს. გამარჯვებულები გახდნენ ქართული პროგრამის 4ა, 8ა და მე-10 კლასის მოსწავლეები. ტრადიციულად, მედლები და თასებით გამარჯვებულები დააჯილდოვეს ივერი ჭელიძის ოჯახის წევრებმა.

„ალმა თასი“ 2019

20-23 ნოემბერს, სტუდენტური კავშირის „ალმა მატერის“ ინიციატივით, „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში“ გაიმართა ფეხბურთის ტურნირი “ალმა თასი” 2019. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და პარტნიორი სკოლების რამდენიმე გუნდმა: „ევროპული სკოლა“, №23 სახელმწიფო სკოლა და №98 სახელმწიფო სკოლა. „ევროპული სკოლის“ გუნდმა შესანიშნავი ტურნირი ჩაატარა, მაგრამ ნახევარფინალში ვიწრო დამარცხების შემდეგ, ბრინჯაოს მედალი მიენიჭა „ევროპული სკოლის“ გუნდს.

სპორტული ღონისძიებები „ევროპულ სკოლაში“

სემესტრის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ყოველ რამოდენიმე კვირაში გასართობი მხიარული სტრატების შეჯიბრებები ტარდება დაწყებითი კლასებისთვის. ოქტომბერში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა სტუდენტმა. ყოველ ხუთშაბათს ტარდება ფრენბურთის თამაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. გაიმართა ამხანაგური კალათბურთის თამაში სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

ელისის ჯადოსნური სამყარო „ევროპულ საბავშვო ბაღში“

მხიარულ ნოტაზე დაიწყო ახალი სასწავლო წელი „ევროპულ საბავშვო ბაღში“. 9 სექტემბერს, ჩვენს პატარებს კიდევ ერთხელ გავუღეთ კარი ელისის ჯადოსნურ სამყაროში მოსახვედრად. მათ აქ დახვდათ მხიარული ატმოსფერო: ითამაშეს ზღაპრის გმირებთან ერთად, იხალისეს ჯამბაზის ოინებზე, მოიხატეს სახე, გააფერადეს გიგანტური ვარდები, შექმნეს ქვიშის აპლიკაციები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები ფერადი საპნის ბუშტების ფონზე.

ხელების დაბანის საერთაშორისო დღე

წლის დასაწყისში დაიგეგმა და ჩატარდა მრავალი აქტივობები. მათ შორის იყო ხელის დაბანის საერთაშორისო დღე, რომელიც 15 ოქტომბერს აღვნიშნეთ.პედაგოგები ბავშვებს ესაუბრნენ ამ დღის მნიშვნელობაზე. მთელი კვირის განმავლობაში თითოეული ჯგუფი ქმნიდა სხვადასხვა სახის აპლიკაციას,რომელიც მოგვიანებით ბაღის ეზოში წარმოადგინეს ჯგუფური ნამუშევრები.

პატარებმა ექიმთან ერთად კიდევ ერთხელ გაიხსენეს ხელის სწორად დაბანის წესები და აღნიშნეს რომ, ხელების დაბანა ინფექციური დაავადებებისაგან თავდაცვის ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებაა. შემდეგ დაიბანეს ხელები სპეციალურად მათთვის მოწყობილ ხელსაბანზე და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

შემოდგომის გაცილება

ნოემბრის ბოლოს „ევროპულ საბავშვო ბაღში“ მოეწყო ღონისძიება „ნახვამდის შემოდგომა, გამარჯობა ზამთარო“. სახალისო აქტივოვებში მხიარულად იყვნენ ჩართულები, საყვარელ გმირის კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები. მათ შემოდგომის ხე ყვითელი ფოთლებით, ხოლო ზამთრის ხე თეთრი ფიფქებით მორთეს. გაეჯიბრნენ გირჩების შეგროვებაში, კოშკის აშენებაში, ზამთრის და შემოდგომის პეიზაჟის დახატვაში. ბოლოს პატარებმა თავიანთი მასწავლებლები ზამთრის თბილ ტანსაცმელში გამოაწყვეს და ბოლოს მიირთვეს თავისი ხელით ამოვლებული ჩურჩხელები.

მშობლის კვირეული

ნოემბრის დასაწყისში „ევროპულ საბავშვო ბაღში“ დაიწყო „მშობლის კვირეული“, რომლის ფარგლებში ბაღს არაერთი მშობელი ეწვია. მათ ძალიან საინტერესო და სახალისო აქტივობები შესთავაზეს ჩვენს პატარებს. ქიმიკოსმა დედიკომ საუცხოო სანახაობა მოაწყო ბაღის ეზოში, ქიმიური ექსპერიმენტების სახით. ინჟინერმა მამამ საინტერესოდ ისაუბრა მანქანების მშენებლობის ტექნიკაზე. გვესტუმრენ იურისტებიც, რომლებმაც ბავშვთა უფლებებზე და საზოგადოებრივ წესრიგზე ისაუბრეს.დიზაინერმა პატარებთან ერთად შექმნეს ტანსაცმლის ესკიზები და სახლის მაკეტები. ექიმებმა ადამიანის აგებულება და ჯანსაღი ცხოვრების წესი გააცნეს ბავშვებს. პედაგოგმა მშობლებმა პატარებს საინერესო კითხვის საათი და ინგლისური ენის გაკვეთილები შესთავაზეს. ერთერთმა მშობელმა სასტუმროებზე,შეფ-მზარეულებზე და კულინარიაზეც უამბო პატარებს.

სკაიპ-გაკვეთილი

6 ნოემბერს, „ევროპული საბავშვო ბაღის“ ინგლისური სექტორის, მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვებს ჰქონდათ ძალიან საინტერესო ინტეგრირებული ონლაინ გაკვეთილი. ისინი სკაიპის საშუალებით ჩაერთნენ ყაზახეთის საეთაშორისო ბაღთან მირაზთან, რომელიც ქალაქ ალმათში მდებარეობს. პატარებმა ერთმანეთს გაუზიარეს მიღებული ცოდნა განვლილ თემაზე „ვინ ვარ მე“. ისაუბრეს პროფესიებზე, უპასუხეს ერთმანეთის შეკითხვებს.შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. ვფიქრობთ რომ მსგავსი ტიპის აქტივობა ხელს შეუწყობს ჩვენს აღსაზრდელებს ეზიარონ სხვადასხვა ქვეყნის კულტურას და ჩამოყალიბნენ გლობალურ მოქალაქეებად.